წლიწადი პირველი

„საქართველო უწინარეს ყოვლისა"

# თეთრი გიორგი

—საქართველო ჩვენი [illegible] პატარა საქართველო [illegible]

—რაც უფრო მეტი დაბრკოლებანი მე-ღობება წინ, მით უფრო ვმაგრდები—

—ვიდრე ჩემს მიწა-წყალზე ერთი მტერი მოიპოვება, ქარქაშში არ ჩავაგებ ხმალს—

გიორგი სააკაძე

პარიზი
ქრისტეშობისთვე 1926 წ.
N· 2
ფასი : 2 ფრ.

ორგანო საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი"-ს.

„ St-GEORGES ". Journal de la Jeunesse Patriote Géorgienne

PARIS
Décembre 1926
N· 2
Prix : 2 Fr.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. .

დღეს დამოუკიდებლობის ნიადაგზე ყველა ქართველი პატრიოტი დგას. მაგრამ ამ საკითხში, ისე როგორც სხვებშიც, ჩვენსა და მათ შორის შესამჩნევი განსხვავებაა.

რა გვანსხვავებს სოციალისტებიდან? მაშინ როდესაც, მათთვის საქართველოს დამოუკიდებლოგა, მხოლოთ საშუალებაა სოციალისტურ იდეის მისაღწევათ, ჩვენთვის ის ძირითადი პრინციპია. მათთვის დამოუკიდებლობა, განსაზღრულ მიზნის განმახორციელებელი ერთ ტაქტიკათაგანია, — ჩვენთვის კი თვით მიზანია. არ შეიძლება თ. გ. ოდესმე გადაუდგეს ამ მიზანს, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ის თეთრი გიორგი აღარ იქნება. სოციალისტებს კი, ყოველთვის შეუძლიათ საჭიროებისდაგვარათ შესცვალონ დამოუკიდებლოების ტაქტიკა და მაინც იგივე სოციალისტებათ დარჩებიან, ვინაიდან ეს ფაქტი იდეოლოგიის ღალატი არ იქნება. მაშასადამე ნათელია: ჩვენ სოციალისტებიდან ეროვნულ საკითხში განვსხვავდებით იდეოლოგიურათ.

ამ საკითხშა ჩვენ და ნაციონალ დემ. შორისაცაა განსხვავება. (აქ ჩვენ მხედველობაში გვყავს მხოლოდ განსაზღვრული წრე ნაც. დემ. ვინაიდან, მათი ახალგაზრდობა ჩვენებრ აზროვნობს და მათთან იდეოლოგიურად გაერთიანებული ვართ).

ნაც. დემ. დამოუკიდებლოგის საკითხს უყურებენ იმავე ძველი თვალსაზრისით, როგორც სხვა პოლიტ. სოციალურ საკითხებს. იღებენ რა, მისდამი ძველ ლიბერალურ გეზს. ეს მათი შეცდომა მძიმდება კიდევ მით, რომ დღეს ისინი სოც. დემ. ბუქსირზე მიდიან. ჩვენთვის ეს ტაქტიკა ულოღიკოა. აშკარა შეცდომაა იმ პარტიის კვალში სიარული, რომელიც მთელ 30 წელს იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ; რომელიც შემთხვევით გაპატრიოტდა, რომლის გამო საქართველომ დამოუკიდებლოგა დაჰკარგა, რომელსაც დღესაც კი დამოუკიდებლობა მხოლოთ ტაქტიკურ საკითხად მიაჩნია.

საქართველო დამოუკიდებლოგას მიაღწევს, და შესძლებს მის შენარჩუნებას მხოლოთ მაშინ, როდესაც ის სოციალისტურ სენიდან განთავისუფლდება, როდესაც ის უკუ აგდებს იმ ეროვნულ დაყოფვის და კლასთა ბრძოლის პრინციპებს, რომელსაც სოც. დემ. ქადაგობენ და განახორციელებს ჩვენ მიერ წამოყენებულ ეროვნულ შეერთების და კლასთა სოლიდარობის იდეას

ნაციონალისტების ზემოხსენებული წრე, მხოლოთ დამოუკიდებლობის ქადაგებით კმაყოფილდება, მის შინაარსის აუხსნელათ. როდესაც ქართველი ხალხი კითხულობს რას წარმოადგენს ეს დამოუკიდებლობა და რა სარგებლობას მოუტანს მას, — სოც. დემ. უპასუხებენ მარქსის ბიბლიით: «სოციალისტურ სამოთხეს». ნაციონალისტები კი უპასუხებენ: «ჯერ მივიღოთ დამოუკიდებლოგა და მერე ვნახოთო».

ჩვენ, თეთრი გიორგელები, რეალისტები ვართ და ვიცით ერთი დიდი სინამდვილე: ხალხი მიდის იქით სადაც თავის პირდაპირ ინტერესებს ხედავს. ამიტომ ჩვენ ეხლავე უთვალისწინებთ ხალხს, თუ რა შინაარსი ექნება მომავალ დამოუკიდებელ საქართველოს, მის პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციას და რანაირათ დააკმაყოფილებს ის მის მატერიალურ და ზნეობრივ ინტერესებს. ამით ჩვენ მარქსის ბიბლიას უპირდაპირებთ ეროვნულ სახარებას. მხოლოთ ამნაირათ მთლიან და ჩამოყალიბებულ იდეოლოგიის გარშემო შეიძლება ხალხის დარაზმვა. თუ სოციალ დემოკრატები ქიმერიულ სოციალიზმის გარშემო რაზმავენ გაფანატიკოსებულ ხალხს, ჩვენ რეალურ ეროვნულ იდეის გარშემო უფრო დიდი ფანატიური სიძლიერით დავრაზმავთ ქართველობას. საქართველო რომ მხოლოთ ბოლშევიკურ რუსეთთან იყოს და პირდაპირებული მაშინ გასაგები იქნებოდა ნაციონალისტების საქციელი, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება საერთო ფრონტი ბოლომდის არ დარღვეულიყო (თუმცა ესეც საეჭვოა.) მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ ხვალ საქართველო დადგება რუსეთის ახალ ფიზიონომიის წინაშე და ხომ სულ ადვილი მოსალოდნელია რომ ეს ფიზიონომია ისევ კერენსკი-წერეთლის, ან მათ მზგავსთა რეჟიმში გამოიხატოს. მაშინ ხომ ჩვენი სოც. დემოკრატები რუსეთში ხელახლად დაინახავენ სოციალისტურ რეჟიმის განხორციელებას, მოინდომებენ იქ როლის თამაშს და ხელახლა გადაიქცევიან ეროვნულ ცენტრიდან ლტოლვილ ძალებათ. ხომ შესაძლებელია რომ სოციალისტურ იდეის გარშემო დარაზმულ ხალხს თავისი «საბოლოო» ხსნა სოციალისტურ რუსეთში მოაჩვენონ? რა ძალა შეაჩერებს მაშინ ჩვენს საზოგადოებას ხელახლა სოციალისტების როსინანტზე შეჯდომას და მოსკოვისაკენ პირის მიგრუნებას თუ არ იქნებაის წინდაწინვე ეროვნულ იდეოლოგიით გაჟღენთილი და მის გარშემო დარაზმული ერთ დიდ ეროვნულ ორგანიზაციაში მტკიცე დისციპლინით.

არა, საჭიროა დღესვე ქართველი ხალხი თავის საკუთარ ფეხზე დადგეს ე. ი. ეროვნულ იდეოლოგიის გარშემო დაირაზმოს და შეჯგუფდეს, რათა ყოველივე ისტორიულ მომენტს დაუხვდეს მზათ, მთელი თავის ეროვნული შეგნებით. ჩვენ ღრმათ გვწამს, როგორც სოციალისტების ერთი ნაწილის, აგრეთვე ნაციონალისტების გულწრფელი მამულიშვილობა და დარწმუნებული ვართ, რომ ახლო მომავალში ჩვენთან ხელი ხელ ჩაკიდებულნი მწყობრ რ[illegible]ინის რაზმებით წავალთ წინ სამშობლოს თავისუფლების და ძლიერების მოსაპოებლათ თეთრი გიორგის დროშის ქვეშ.

. .

ბევრს აინტერესებს შეადგენს თუ არა ჩვენთვის დიქტატურა პრინციპის საკითხს. არა, ჩვენი იდეოლოგია გამოსახავს საზოგადოების მთელ სტრუქტურას: საქართველო პოლიტიკურათ და სოციალურათ უნდა აშენდეს იმ ახალ პრინციპზე, რომელზედაც შენდება სოციალისტურ სენიდან გაჯანსაღებული ევროპა. მხოლოდ ამ პრინციპს ჩვენში გადმონერგილს საფუძვლად უნდა დაედოს ქართული ცხოვრების სინამდვილე. ამნაირად ჩვენი იდეოლოგია ფართოა და დიქტატურა მხოლოდ ერთი პატარა ეპიზოდია ჩვენი შემოქმედებისა- ტაქტიკური საკითხი განსაზღვრულ პოლიტიკურ მომენტში. საქართველო პირველ ხანებში თავის განთავისუფლებისა იქნება ისეთ არაჩვეულებრივ პირობებში, რომ ნორმალური რეჟიმის არსებობა შეუძლებელი გახდება. ჩვენ არ გვექმება არც კონსტიტუცია, არც სამოქალაქო, სისხლის და საადმინისტრაციო კანონმდებლოგა. ნორმალური რეჟიმის არსებობა ამათ გარეშე შეუძლებელია. მაშასადამე თვით ობიექტიური პირობები ჩვენი ქვეყნისა განსაზღვრავს რეჟიმის ხასიათს. საჭიროა თავიდან ავაცილოთ ჩვენ ხალხს ის, რაც მოხდა მისი სამიწლის დამოუკიდებლობის დროს. ახლად განთავისუფლებული საქართველო იმყოფებოდა არაჩვეულებრივ პირობებში, შეჰქმნა არაჩვეულებრივი რეჟიმი- სოც. დემ. პარტიული დიქტატურა. ამ პარტიულ დიქტატურის გაბატონება შედეგი იყო ჩვენი ეროვნული შეუგნებლობისა. ამას მოჰყვა ის, რაც უნდა მოჰყოლოდა: ერთი პროვინციის დანარჩენებზე გაბატონება, რამაც გამოიწვია მათ შორის შუღლი და პროვინციალური პატრიოტიზმი; პარტიულ ჯარის—გვარდიის შექმნა, რამაც ხელი შეუშალა რეგულიარულ ჯარის მოწყობას და მით დიდათ შეასუსტა საქართველოს ბრძოლის უნარი და საშუალებანი; ერთი კლასის პრივილეგიები და დანარჩენთა დევნა, რამაც ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალა დაჰყო და შეამცირა, რაც საზარალო იყო ყველა კლასებისათვის; სოციალისტურ მართველობის გამო საქართველოს ეკონომიურ განვითარების შეფერხება, რამაც უპირველეს ყოვლისა მუშათა კლასს მოუტანა უდიდესი ზარალი, ვინაიდგან იმ ქვეყანაში სადაც ეკონომია არა ჰყვავის მუშათა კლასიც გაჭივრებას განიცდის; ერთი პარტიის სრულ ბატონობა-გაზემობიას ქვეყანა ყველგან და ყოველთვის უკანონოგამდის, უსამართლობამდის და გორუტ მოქმედებამდის მიჰყავს და ასეც იყო ჩვენში. ყველა ამან დაღუპა საქართველო და ჩრდილოეთის ანტროპოფაგებს ხელახლად ხელში ჩაუგდო. ყოველივე ეს რომ არ განმეორდეს, ჩვენ პარტიულ დიქტატურას, რომელ მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის, უპირდაპირებთ ეროვნულ დიქტატურას, რომელიც იქნება გარეშე კლასთა და წარმოადგენს მხოლოდ ერის საერთო ინტერესებს. ხოლო დამყარდება რა ნორმალური მდგომრეობა ე.ი. შეიქმნება ობიექტიური პირობები ნორმალურ რეჟიმის არსებობისა, ჩვენ ვიღებთ ამ რეჟიმის საფუძვლად პარლამენტს თავის განახლებულ ფორმებში.

. .

ჩვენ გვეკითხებიან: თ. გ. არის თუ არა მომხრე აჯანყების: — აჯანყება ბრძოლაა შემოსეულ მტრის წინააღმდეგ. სანამ ერში სცოცხლობს ეროვნული სული, მასში ბრძოლის სურვილი და უნარიც არსებობს. ბრძოლის სურვილი ჰქრება ეროვნულ სულთან ერთად. ეროვნული სულის გაქრობა კი ნიშნავს ერის დეგენერაციას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ერი ივიწყებს თავის პიროვნებას და იღებს დამონებულის სახეს ე. ი. გადაგვარდება, ან სტოვებს თავის ტერიტორიას და გაიფანტება ქვეყანასა ზედა ე. ი. ერი იქცევა ხალხათ, რომლის ინტერესი მხოლოთ მატერიალურ მისწრაფებებით განისაზღვრება. ჩვენი ერი ჯერ აქამდის არ მისულა. პირიქით, თუ რამდენიმე წლის წინეთ გადაგვარების პროცესს განიცდიდა დღეს ის ეროვნულ შეგნების და აღორძინების გზაზეა დამდგარი. მაშ აშკარაა, რომ ქართველი ხალხი არ დასტოვებს თავის წინაპართა მიწა წყალს, არც თავის გრძელ საუკუნეთა განმავლობაში გამოქანდაკებულ «მე»-ს. ის იბრძოდა იგრძვის და იგრძოლებს და გაიმარჯვებს კიდეც.

თეთრი გიორგი მომხრეა აჯანყების, ვინაიდან უპირველეს ყოვლისა, ის არის მომქმედი და მებრძოლი ორგანიზაცია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბრძოლას უნდა მომენტის შერჩევა და ღრმათ შესწავლილი ტაქტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აჯანყება კატასტროფით თავდება ხოლმე. თ. გ. თავის დროზე ამის შესახებ იტყვის თავის სიტყვას, ქართველ ხალხს საჭირო საშუალებებით გააცნობს ბრძოლის მეთოდებს, ტაქტიკას და კიდევაც დარაზმავს საბრძოლველათ.

რად ვატარებთ ჩვენ თეთრი გიორგის სახელწოდებას.

—×—

როდესაც ერი იმყოფება ცხოვრების ნორმალურ პირობებში ე.ი. დამოუკიდებელია და მისი შინაგანი მდგომარეობა არ განიცდის რაიმე არა ჩვეულებრივ განსაცდელს მისი შემადგენლობის ყველა ელემენტების ერთ ეროვნულ მიზნისათვის შეკავშირება აშკარა საჭიროებათ არა სჩანს. მისი შემადგენლობის სხვა და სხვა წოდებანი, კლასები, თუ სხვა სოციალური შეჯგუფებანი თავის კერძო და სპეციფიურ ნივთიერ თუ ზნეობრივ ინტერესებს და მისწრაფებებს სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიების სახით გამოხატავენ ხოლმე და მათ საშუალებით სცდილობენ მიაღწიონ თავის მიზნებს. პოლიტ. პარტიებიც ირჩევენ და ატარებენ ისეთ სახელწოდებებს, რომელნიც გამოხატავენ და განისაზღვრავენ იმ შეჯგუფებების ან კლასების ინტერესებს რომელთაც ემსახურებიან. მაგალითად მუშათა კლასი ან მისი ნაწილი მისწრაფის სოცილიზმისკენ, რომელსაც სურს მიაღწიოს დემოკრატიის საშუალებით, იგი აარსებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. თუ ის ლამობს ამავე მიზანს მიაღწიოს უმთავრესად რევოლუციონური საშუალებით, მაშინ შეადგენს სოციალ. რევოლუციონურ პარტიას. ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს მიზნათ ჰქონდა საქართველოს სოციალისტურ ფედერატიულ რუსეთში მოთავსება და მან დააარსა პარტია სოც.-ფედერალისტებისა.

საქართველოს მესაკუთრე კლასის ერთმა ნაწილმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის რუსეთთან ავტონომიურ დამოკიდებულებას იდეალათ ისახავდა და რომელიც შემდეგში სოც. დემოკრატებისამებრ ისტორიულმა მოვლენებმა «გაასეპარატისტეს», შეჰქმნა ნაციონალ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიამ უწოდა თავის თავს ნაციონალისტური მხოლოთ იმიტომ რომ სოციალისტების მოწინააღმდეგე იყო (ეხლა ესეც აღარ არის), — არ შეიძლება სხვანაირად აიხსნას ეს სახელწოდება ვინაიდან ერთი კლასის წარმომადგენელი პარტია შეუძლებელია მთელი ერის ინტერესს გამოხატავდეს და დემოკრატიული იმიტომ; რომ დემოკრატიულ წესწყობილებას აღიარებს როგორც საუკეთესო ფორმათ სახელმწიფო ორგანიზაციისა.

ამნაირად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველი პოლ. პარტია არის მხოლოთ ამა თუ იმ კლასის ე. ი. მხოლოდ ერის ერთი ნაწილის წარმომადგენელი, მისი ინტერესების მატარებელი და მისი სახელწოდებაც რასაკვირველია გამომდინარეობს განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფის მისწრაფებების ხასიათიდან. პოლ. პარტიებს სხვაფრივ არც კი წარმოუდგენიათ ერი თუ არა ერთი კლასის ბატონობის და გაბატონების ობიექტათ. არც სხვნაირად იციან სახელმწიფოს მართვა-გამგეობა თუ არ ან «მარჯვნიდან» ან «მარცხნიდან».

ხოლო ერის ცხოვრებაში დგება ხოლმე ისეთი მომენტი როდესაც აუცილებელია ყველა მის ღირსეულ შვილთა შეერთება და შეკავშირება ერთ დიდ ეროვნულ იდეალში, გარეშე წვრიმალ და ჯგუფურ ინტერესებისა. თუ ერი იმდენათ შეგნებულია, იმდენათ მაღლა სდგას სულიერად და ზნეობრივათ რომ მიხვდეს ამ შეკავშირების საჭიროებას და მას კიდეც განახორციელებს, იგი შესძლებს განსაცდელის თავიდან აცილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ამ განსაცდელის მსხვერპლი შეიქნება, რის მაგალითებიც ისტორიაში მრავალია. და როცა ერი ერთდება ერთ დიდ ეროვნულ კავშირში, რა ემბლემით გამოდის ის? შესაძლებელია გამოვიდეს რომელიმე პარტიის ემბლემის ქვეშ და ამ რიგათ გაიმარჯვოს? ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან თვით ბუნება პოლ. პარტიისა იმნაირია რომ მას არ ძალ-უძს გამოხატოს მთელი ერის მისწრაფება, სულისკვეთება და ის განახორციელოს. პირიქით ყოველი ერი, რომლისთვის ისტორიას მისი სამკვდრო სასიცოცხლო საკითხი დაუსვამს, სამშვიდობოზე მხოლოთ პოლ. პარტიების უკუგდებით და ეროვნულ დროშის ქვეშ გამოსულა და თავისუფლებისთვის თუ აღორძინებისათვის ბრძოლის ემბლემათ და გამომხატველათ ხშირათ, გარეგნული ფორმის მხრივ, უცნაური სახელწოდება მიუთვისებია.

მრავალია ასეთი მაგალითები და თითქმის ყველა ერის ისტორიაში მოიპოვებიან. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს მოვიყვანთ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იტალია მეტად სამწუხარო პირობებში იმყოფებოდა. იგი დაყოფილი იყო რამდენიმე ერთი მეორედან დამოუკიდებელ, ხშირად ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ, სახელმწიფოებად; უდიდესი მისი ნაწილი განიცდიდა ავსტრიელების მკაცრ ბატონობას და დანარჩენ ნაწილზე იმავე ავსტრიის დიდ პოლიტიკურ გავლენას; თვით რომი ეკუთვნოდა პაპს, რომელზედაც ის მეფობდა. რა თქმა უნდა ასეთი რთული მდგომარეობა ჰქმნიდა ინტერესთა სხვადასხვაობას და ამ ინტერესთა გამომხატველნი მრავალი პოლიტიკური პარტიებიც არსებობდენ, რომელნიც როგორც ჩვენში და ყველგან სხვაგანაც, ქვეყნის საერთო ინტერესებს ივიწყებდენ და ერთმანეთთან ბრძოლას აწარმოებდენ. იქ არსებობდენ სოციალისტური, რესპუბლიკანური, მონარქიული, კლერიკალური, ე. ი. პაპის და სხვა პარტიები, რომელთაც მეთაურობდენ ბალბო, კავური, ჟიობერტი, მაძინი, გარიბალდი და სხვა მრავალნი. ასეთი მდგომარეობა იტალიას საბოლოოთ დაშლის და გადაგვარების გზაზე დააყენებდა, რომ მას თვით არ ეპოვნა საკმარისი ძალა, ენერგია და ეროვნული შეგნება თავისუფლებისათვის და გა-

ერთიანებისათვის ბრძოლისა. აღორძინების ხანის შემქნელი ერი ადვილათ არ დაიღუპებოდა და მართლაც დადგა მომენტი როდესაც მთელი იტალიელი ხალხი როგორც ერთი კაცი შეერთდა ერთ ისტორიულ ეროვნულ მიზნის გარშემო. ამ საერთო ეროვნულ მოძრაობას რომელიმე პოლ. პარტ. სახელწოდება კი არ მისცა და მისი დროშით არ გა მოვიდა, არამედ მონათლა ის ,,კარბონარების" სახელით და ეროვნული დროშა ააფრიალა. ,,კარბონარობა" კი ნიშნავდა მენახშირეობას და კარბონარების მოძრაობა მენახშირეთა მოძრაობას. ეს სახელწოდება წარმოსდგა იმ ფაქტიდან, რომ ეროვნულ მოძრაობის პიონერები მენახშირეებთან ტყეებში იკრიბებოდნენ ხოლმე. გარეგნულად რომ შევხედოთ ამ სახელწოდებას უმნიშვნელო და სასაცილოა, მაგრამ ღრმა და ეროვნული შინაარსი აქვს, ვინაიდან განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში თვით ერის გულიდან იყო ამონახეთქი და ითამაშა კიდეც გარდამწყვეტი ისტორიული როლი: იტალიის ერმა თავისუფლებას და პოლიტიკურ გაერთიანებას ამ ემბლემის ქვეშ მიაღწია.

ანალოგიურ მოვლენას ვხედავთ საბერძნეთში, რომელიც, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, ოსმალეთის მონობაში იმყოფებოდა. საბერძნეთშიც მე ცხრამეტე საუკ. დასაწყისში ვხედავთ ევროპისდაგვარათ მრავალ პოლიტიკურ პარტიებს მათი ჩვეულებრივი ხასიათით: რესპუბლიკანური, მონარქიული, ანგლოფილური; მეოცდა ათე წლებში სენატის, შემდეგ სამი სენატის, დ. იპსილანტის, ფრანკოფილური, რუსოფილური დასხვა პარტიები. მაგრამ ბერძენთა ერი თურქების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში არ გაჰყვა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას. არც შეიძლება შეგნებული ერი სხვაფრივ მოიქცეს; წინააღმდეგ შემთხვევაში დაღუპვა მოელის, ვინაიდან პოლიტიკური პარტია საბოლოოდ ერის ინტერესებს აუცილებლივ თავის დამაარსებელ და ბრძანებელ კლასის ან ჯგუფის ინტერესებს შესწირავს. არც შეუძლია სხვანაირად გაითვალისწინოს თავის მოქმედება თუ არა ამა თუ იმ კლასის გებმონიის და ბატონობის შექმნით დანარჩენ ელემენტებზე. ეს ჩვენმა ერმა მეტად მწარე გაკვეთილებით და გამოცდილებით იცის. მთელი საბერძნეთი, განურჩევლად წოდებისა და პოლიტიკურ მდგომარეობისა, შეერთდა ერთ დიდ ეროვნულ ,,კლეპტურ" მოძრაობაში. კლეპტი ბერძნულათ ნიშნავს ქურდს, ყაჩაღს და ეს სახელწოდება მართლაც ყაჩაღებიდან წარმოსდგა. მათ პირველათ დაიწყეს იარაღით ხელში ბრძოლა სამშობლოს მტრის წინააღმდეგ. მათ აჰყვა მალე მთელი ხალხი, თავის მოძრაობას ,,კლეპტური" უწოდა, ამ სახელწოდების ქვეშ იბრძოდა შეუდარებელი გმირობით და კიდეც გაიმარჯვა.

დღეს, ჩვენ თვალწინ დამარცხებულმა, ნაწილ-ნაწილ დაყოფილმა, სატახტო ქალაქ დაკარგულმა ოსმალოს ხალხმა უკუ ჰყარა ყველა პარტიები, რომლებიც ვითა ლეშს ყვავ ყორანნი ზედ დასხაოდნენ და, უმართებლოდ დარჩენილი, დანგრეულ სახელმწიფოდთი შიდა ანატოლიაში გამოკეტილი, შეერთდა ერთ დიდ ეროვნულ, ქემალისტურ მოძრაობაში. რას ნიშნავს ,,ქემალისტი", ,,ქემალისტობა"? რასაკვირველია ეს არ არის რაიმე პოლიტიკურ ,,კრედო"ს შინაარსის გამომხატველი, მაგრამ სამაგიეროდ ერის შეერთების და ბრძოლის საყვირია, ერის მიერ შექმნილი სიმბოლო და ემბლემა, და სწორედ ამ ემბლემით გაიმარჯვა ოსმალეთმა და აღორძინების გზაზე დადგა.

მსოფლიო ომის შემდეგ დაუძლურებული იტალია, სავსებით სოციალისტების და კომუნისტების ექსპერიმენტების საგნათ გარდაიქცა. ყველას კარგად მოეხსენება თუ რა დაცემის გზაზე დააყენა ამ ვაჟბატონებმა იტალიის ხალხი; კინაღამ რუსეთის ქაოსში საბოლოოდ არ გაჩვია. მაგრამ იგრძნო თუ არა იტალიის ერმა მთელი ის საშინელება, რომელსაც მარქსიზმის ფანატიკოსები უმზადებდნენ, შეერთდა ერთ მჭიდრო ეროვნულ მოძრაობაში. თუმცა იტალიაში უკვე კარგა ხნიდან არსებობდა ნაციონალისტური პარტია, რომელსაც მეთაურობდნენ უდიდესი პოლიტიკოსები, პუბლიცისტები მწერალნი და მეცნიერნი, (სხვათა შორის ეს პარტია სავსებით ჰგავდა ჩვენ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას, მხოლოდ დიდი პოლიტიკოსების, მოღვაწეების, პუბლიცისტების, მწერლების და მეცნიერების გამოკლებით) მაგრამ ამ პარტიას ხალხი არ გაჰყვა, ვინაიდან როგორც სხვაგან ისე იტალიაშიც ეს პარტია წარმომადგენელი იყო განსაზღვრულ კლასისა და მისი ინტერესების. შეერთებულმა, შეკავშირებულმა იტალიის ერმა თავის მოძრაობას ,,ფაშიო" უწოდა რაც ქართულად კონას ნიშნავს. ეს სახელწოდება არ გამოხატავს რაიმე პოლიტიკურ შინაარსს, ისევე როგორც ,,კლეპტი" ,,კარბონარი" ან ,,ქემალისტი" მაგრამ, როგორც ეს უკანასკნელნი, ,,ფაშიო"-ც არის ერის გულიდან ამოძახილი შემაერთებელი სიმბოლო. ჩვენ ვნახეთ რა დიდ გამარჯვებას და აყვავებას მიაღწია იტალიამ ამ სიმბოლოს ბელადობით. რაც შეეხება იტალიის ნაციონალისტურ პარტიას, რასაკვირველია ის ბუნებრივად მთლიანად გაითქვიფა ფაშიზმში და გაფაშისტდა. ამნაირად, ყოველი ერი განთავისუფლებულა მონობიდან ან განსაცდელიდან სამშვიდობელს გამოსულა და აღორძინებულა თავისივე მიერ წამოყენებულ ემბლემის ქვეშ და არა რომელიმე პოლ.-პარტიის ხელმძღვანელობით და მისი სახელწოდებით. ისტორიამ არ იცის არც ერთი მაგალითი, რომელიმე პოლ. პარტია მთელ ერს გასძღოლოდეს, მისთვის თავისუფლება მოეპოვებინოს ან განსაცდელიდან გამოეყვანოს. პირიქით, როგორც ზემოთ უკვე ვსთქვით, თუ რომელიმე დაცემული და დავრდომილი, ეროვნულათ შეუგნებელი ერი სასოწარკვეთილების წუთებში გაჰყოლია რომელიმე პოლ. პარტიას, აუცილებლად კატასტროფამდე მისულა. ბრწყინვალე მაგალითი ამისა ჩვენი სამშობლოა.

ჩვენი ქვეყნის მატიანეს არ ახსოვს იმისთანა დიდი განსაცდელი, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება: მთელ ერს, განსაზღვრულ სისტემებით და მეთოდებით, ვერაგი და გარეგარეშე მტერი სპობს ფიზიკურათ და ხრწნის ზნეობრივათ. არასდროს ისტორიას ასე მკაფიოდ და აშკარად არ დაუსვამს ჩვენი ხალხისათვის ეროვნული შეერთების და შეკავშირების საჭიროება ერთ დიდ ეროვნულ, კოლექტიურ მიზნის მისაღწევად: დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა დ ა ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა. მეორე მხრივ აშკარად დაინახა ჩვენმა მოაზროვნე საზოგადოებამ თვით მდაბიო ხალხმაც და მეტადრე ახალგაზრდობამ, რომ ჩვენმა პოლ. პარტიებმა ქვეყნის მართვა დამოუკიდებლობის დროსაც ვერ შესძლეს, როდესაც ერთნი მათგანი მხოლოდ ბატონობაზე ზრუნავდნენ და მეორენი მხოლოდ დეპუტატობაზე.

ვერც საქართველოს დაცემის შემდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა შესძლეს. პარტიათა ჟამი აღსრულდა ჩვენში, როგორც ევროპაში; ჩვენში უფრო, ვიდრე სხვაგან. ერი ლამობს ეროვნულ კავშირის შექმნას პოლ. პარტიების გარეშე და ეს ეროვნული კავშირი უნდა მოხდეს თეთრი გიორგის ემბლემის გარშემო. თ. გ.-ს სახელწოდება ერის შემაერთებელ არსებისაა. მას გარეგნულად არა აქვს რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა, გამომხატველობა, რადგან არ არის რაიმე ვიწრო პარტიულ, კლასობრივ ინტერესებთან შეგუებული და პოლიტიკოსების მიერ შეთითხნილი ფორმულა; არა, თ. გ. სდგას ყოველივე ამაზე მაღლა და დაგვირგვინებულია მრავალ საუკუნეთაგან გამოჭედილ შეურყეველ, ბრწყინვალე გვირგვინით; დღეს ის, ჩვენი ქვეყნის განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში, ეროვნულ ფსიხოლოგიით და სულის კვეთებით გამსჭვალულ ახალგაზრდობის გულიდან ამოხეთქილი ემბლემაა, ემბლემა მთელი ერის შემაკავშირებელი ერთ ეროვნულ მიზნის მისაღწევად. თ. გ. არის ქართველი ხალხის საერთო ეროვნულ მოძრაობის ერთად ერთი მისაღები სახელწოდება. თ. გ. აერთებს ქართველ ერს.

ერის ასეთი შეერთება, განსაკუთრებით მისი არსებობის საშიშ მომენტში უდიდეს ეროვნულ იდეალის მისაღწევად, მხოლოდ დღეს არსებულ ძალთა და ენერგიათა შეკავშირებით არ განისაზღვრება. კავშირი უნდა შეიცავდეს გაღვიძებას თანამედროვეთა სულში და ფსიხოლოგიაში წინაპართა სულის სიმტკიცის და მამულიშვილობის აღდგენას ცოცხალთა მოქმედებაში; ეროვნულ შეგნების გაღვიძებას, გაძლიერებას, ბრძოლის სურვილის და უნარის განმტკიცებას; სვალინდელ გამარჯვების, თავისუფლების მოპოვებას, მის დამკვიდრებას და ერის აღორძინებას.

ხოლო, საქართველოს წარსულის, აწმყოს და მომავლის შეერთებას ერთ ეროვნულ სურვილში და მისწრაფებაში შესძლებს ის ემბლემა, რომლის ქვეშ საქართველო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა, იტანჯებოდა, სასოწარკვეთილების და დაცემის შემდეგ აღორძინებისაკენ მიდიოდა; რომლის ქვეშ დღესაც იმყოფება, და რომლის ქვეშ ჩვენი სამშობლო იცხოვრებს, იბრძოლებს და იმოქმედებს შემდეგშიც, უკუნითი-უკონისამდე. ე ს ე მ ბ ლ ე მ ა თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი ა !

ლეო კერესელიძე.

---

## რ უ ს უ ლ ი ს უ ლ ი.

ქართულმა სიბრძნემ სოლომონ მსაჯულის პირით სთქვა: ,, სახელმწიფოის სჯულის ერთობა, არარას არგებს ოდეს თვისება ერთა მათ შორის სხვადასხვაობდეს-"ო.

რუსეთის ბატონობის ერთი საუკუნის ისტორიამ ცხადყო ეს ჭეშმარიტება. ჩვენი ერის ,, თვისება " ვერ შეეგუა ჩრდილოეთის ბარბაროსულ ბუნებას. ქართული ნაზი, რაინდული ხასიათი ვერ გაიგო რუსულმა გაყინულმა სულმა. უხეში ძალით მიჰყო ხელი მტერმა ერის გადაგვარებას; ქართველი ერი რუსულ კედლებში ჩაკეტეს, კულტურულ ევროპისკენ მიმავალი გზები მოუსპეს. ყოველი ძალა იყო მიმართული, რომ რუსულად გვეაზროვნა, რუსული სულით გვესუნთქა. მტერი რამდენიმეთ მიზანს აღწევდა. საუკუნოებით შექმნილ ჩვენ ეროვნულ კულტურას საშიშროება მოელოდა...

ჩნდებოდენ ერის რენეგატები, რომლებიც რუსულ ,,კულტურით" ინათლებოდენ, ქართულ სულს ეთხოვებოდენ და რუსდებოდენ. ეს ნაწილი, საბედნიეროდ ერის ზედა ფენები იყო. ქართული მასსა ისევ ძველებურათ სუნთქავდა, წინაპართა უხილავი სული ხალხს ძველებურათ ზრდიდა

თეორია — თითქოს ინტელიგენცია გამოსახულებაა ერის სულის და მორალის, თითქოს ინტელიგენცია ორგანიულ ამოძახილია ერის შემოქმედებითი გენიის — ქართულმა სინამდვილემ არ გაამართლა. ინტელიგენციის სული იგივე არ აღმოჩნდა რაც ერის. შორეული არ არის ის დრო, როდესაც ქართულ ინტელიგენციის დიდ ნაწილში, რუსული სული იყო გამეფებული. სამშობლო ენა, ტრადიციები, განდევნილი; დამონებული ფიზიკურათ სულიერათაც მონავდებოდენ.

ამ მოვლენას ისინი უმაღლეს ,,კულტურის" მიღებათ ნათლავდენ... მერე სინამდვილეში რა იყო ეს ,,კულტურა"? — დიდხანს ის პირბადეს ატარებდა. დღეს კი განათლებულმა ევროპამ აჰხადა ეს სქელი ნიღაბი და რუსულმა სულმა გამოაჩინა მისი ნამდვილი სახე... ჩვენ აქ შევეცდებით მკითხველს გავაცნოთ ეს სინამდვილე. რუსის ხალხის ნამდვილი ბუნება, მისი სული და მორალი.

ცნობილმა პოლონელმა პროფესორმა ფერდინანდ ოსანდოვსკიმ მრავალი წლები გაატარა რუსეთში, ღრმად შეისწავლა რუსის ერის ფსიქოლოგია. მისი აზრით უდიდესი რუსეთის იმპერია, რომელმაც თავისი პირველ—ყოფილი სახით დღევანდლამდე მოაღწია, შეპყრობილია მისტიური სულით, არეული ფსიქოლოგიით, საშუალო საუკუნოების პაგანიზმით, ქრისტიანულ ორტოდოქსალურ ასკეტიზმით, მონგოლურ მაზინჯ ფსიქოლოგიით და თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაციით. რუსის ინტელექტუალური კლასი, რომლის სპირიტიზმი უმაღლეს იდეალიზმამდეა მისული, დიდი ხანია რაც გამოეყო მის ხალხს; არაფერი ესმის მისი, ეზიზღება ის და არ უნდა დაინახოს მისი ნამდვილი სახე, რომელიც თავის სინამდვილეში წარმოადგენს საშიშროებას კაცობრიობის მიმართ... იმ დროს როდესაც სოფლებში ჩვენ ვხედავთ გლეხს, სრულიათ პრიმიტიულ ადამიანს, პირველ ყოფილ ადამიანის ვნებით და ინსტიკტით. ქალაქები სავსეა ფეხშიშველა მაწანწალებით, მაქსიმ გორკის ,,რეოლიუციონურ" ტიპებით. და როდესაც აღარ იყო ჟანდარმერია და ციხე, მათ გაანიავეს საკუთრებანი, ქარხნები, გაანადგურეს ინდუსტრიის ძალები, ტექნიკოსები, ორგანიზატორები ...

საშინელი ჩრდილი, შავი როგორც შემოდგომის ღამე და როგორც სული მკვლელისა — ერთხელ კიდევ აღსდგა კაცობრიობის წინაშე, და დღეს ეს ჩრდილი რუსეთიდან მოდის,..

სრულიად გასაგებია ის გრძნობა ზიზღისა, რომელსაც ატარებს ლათინური ფაქიზი სული რუსულის მიმართ: ცნობილი ფრანგი მწერალი კამილ მოკლერი, იხილავს რა რუსული სულის ბუნებას, მის ლიტერატურულ შემოქმედებას, ახასიათებს როგორც შეჯგუფებას გონებრივ და სულიერ ნაკლუვანებათა. რუსულ ლიტერატურაში არა თუ არსებობს ნება, არამედ ნასახიც კი არ მოიპოვება მისი. რუსული რომანის გმირები ნებას იჩენენ მხოლოთ გოროტმოქმედებაში. ლოთობაში, ჯიუტობაში, ანარქიზმში მათ სულს არ განსასღვრავს არც დასაწყისი არც შუა და არც ბოლო. მართალია რუსულ ლიტერატურულ შემოქმედებას ჰქონდენ დიდი ტალანტები მაგრამ ესენი იყვნენ ავადმყოფი ხალხი, რომლებიც ხატავდენ მისივე ავადმყოფ ერს. მათი მოცემული ტიპები არიან:, ლოთი ძმები, სტუდენტი მკვლელები, იდიოტი თავადები პროსტიტუტკები, რომლებიც ფილოსოფოსობენ, გლეხებიმოციქულები, რომლებსაც თავი წარმოუდგენიათ უმაღლეს სულის მატარებლათ. ეს ხალხი მუდამ კვნესის და ჩივის რომ ისინი არიან ნაზირნი ჩაფლულნი ცრუ-მორწმუნეებაში, უტოპიაში, და ბედნიერნი ამით, მუდამ ერთსა და იმავე კითხვას იძლევიან— რა ვქნათ? ,,აკეთეთ ის რაც ჩვენ, დაიმორჩილეთ თავი! იგადევა სურვილი უყვირის მათ, ამბობს ფრანგი. მწერალი.

მაგრამ ეს რუსის ერს არ შეუძლია. ეს მისინების გარეშე დგას. მისმა წარსულმა და დღევანდელმა სიცხადემ ეს უკვე დაგვანახა. მოკლერს როგორც ლათინურ სულის მატარებელს, სძულს ეს ავადმყოფი ერი და ეგადევა სურვილი გაიქცეს, თავს უშველოს ამ ატმოსფერიდან რომელიც გაჟღენთილია სისხლით, ალკოჰოლით, ანარქიული მყრალი სულით.

დააკმაყოფილო ცნობისმოყვარეობა რუსულ ლიტერატურით — ეს საშიშროებაა, უცნაური ანომალიაა, ჩვენ არ შეგვიძლია ვიკვეხებოდეთ დოსტოევსკით, ტოლსტოის დოკტრინა ბოლშევიკურ კლოაკაში იმყოფება, ხოლო გორკის ,,ბოსიაკები" და ანდრეევის გიჟი ისტერიკები, ჩვენ სულში სიმულილის გრძნობებს იწვევენ,,

ასეთივე დასკვნას აკეთებს მეორე ფრანგი მწერალი ბერტრანი, რომელიც სასტიკ კრიტიკით ილაშქრებს სლავიანურ სულის წინააღმდეგ.

სრულიათ გასაგებია: ლათინური სული, რომელიც შეჩვეულია და ხელმძღვანელობს მუდამ მორალურ და სოციალურ კრიტერიუმით, ასე აღშფოთებულია რუსულ აღვირახსნილობის, გარყვნილების რელიგიის წინააღმდეგ, რომელიც რუსული სულის სპეციფიურობას შეადგენს.

რუსეთის ისტორია ნათლად ხატავს ამ დახასიათებას მისი ეროვნული სულისას და რა არის რუსეთი თუ არა ისტორია: ატრეპიევების, გადუნოვების, რაზინების, პუგაჩოვების, რასპუტინების, ულიანოვების!

აშკარაა: რუსეთის სულს ამოძრავებდენ არა ნამდვილი კულტურული პოლიტიკის პერსპექტივები არამედ, ვაგაბონდური და ბუნტარული თავაწყვეტის სურვილები. ასეთია რუსეთის ერის რასიული ვინაობა, მისი ავადმყოფი სულის ანტიმორალური და ანტი ესტეტიური სინამდვილე.

ქართული ძველი ინტელექტუალურ თაობის დიდი ნაწილი ამ სულზე იყო აღზრდილი, ხოლო ნაწილი პოლიტიკურ პარტიათა რუსულ იდეოლოგიით შეპყრობილი, რუსული სულის მატარებელი .. მათ თითქმის გაატლანქეს ერის სული

მომავალმა ჩვენმა თაობამ ეს გადამაგვარებელი გზა უნდა უარყოს. ახალმა თაობამ თავისი ისტორიული მოვალეობა უნდა შეასრულოს. გათხრილი უფსკრული რუსეთ საქართველოს შორის არ უნდა ამოივსოს.

თუ სლავიანურმა პოლონეთმა თავისი ეროვნული სული აღზარდა რუსების სიძულვილში, მით უმეტეს ეს საჭიროა ჩვენი ერისათვის, რომელსაც რასიულათ არაფერი საერთო აქვს რუსულ სულთან.

გ ო გ ი

---

## ბ. ლ ე ო კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ი ს რ ე ფ ე რ ა ტ ი ს გ ა მ ო

17 ნოემბერს ბ. ლეო კერესელიძემ თეთრი გიორგის სახელით წაიკითხა ქართულ საზოგადოებაში რეფერატი: "თანამედროვე დემოკრატია და საქართველო."

ბ. კერესელიძემ დაასკვნა: თანამედროვე დემოკრატიული წესწყობილება აშენებულია კლასთა ბრძოლის და ქიშპობის საფუძველზე, რამაც საერთოდ დემოკრატიის ცხოვრებაში დიდი პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი გამოიწვია და ზოგი სახელმწიფონი კატასტროფამდეც კი მიიყვანა. ქართველი ხალხისათვის მავნებელია კლასთა მტრობის ნიადაგზე დაფუძნებული პოლიტიკური მმართველობა. ქართველმა ხალხმა უნდა შექჰმნას ეროვნული მმართველობა დამყარებული კლასთა სოლიდარობაზე და არა კლასთა ბრძოლაზედ. კლასის დიქტატურა უნდა ეროვნული სახელმწიფოთი შეიცვალოს.

მოხსენება, როგორც შინაარსით აგრეთვე თავის მკაფიო განმარტებით აკადემიური ხასიათისა იყო, ამიტომაც მეტად საინტერესო და საყურადღებო. მიუხედავად ამისა ზოგმა ძველმა და ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა შინაარსი გლახად გაიგეს და სრულიად უსაფუძვლოდ უსაყვედურებდენ ვითომ მომხსენებელი ანტიდემოკრატიულ მიმართულებას და დიქტატურას ქადაგებდა და ამიტომ თეთრი გიორგის მიმართულება ქართველი ხალხისთვის მიუღებელიაო.

ბ. კერესელიძემ თავის მოხსენებაში დაასაბუთა: თანამედროვე დემოკრატიული წყობილების დიდი კრიზისი უპირველესად თვით დემოკრატიულ პოლიტიკის ხელმძღვანელებმა და პოლიტიკურმა მეცნიერებმა აღნიშნეს. მათ დაასაბუთეს, რომ განსაკუთრებული მიზეზი კრიზისისა გამოწვეულია კლასთა შუღლის, ქიშპობის, ურთიერთ მტრობის, დაუნდობლობის და ერთის მეორეზედ გაბატონების სურვილის გამო, რასაც თანამედროვე დემოკრატიული წესწყობილება უნებლიეთ ხელს უწყობს. ამის გამო ხშირია, რომ რომელიმე კლასის ეგოისტური ინტერესები ამცირებენ ერის და სახელმწიფოს ინტერესებს და სუვერენობას. — ნამდვილი დემოგრატიული წესწყობილება უნდა იყოს კლასთა სოლიდარობის და თანამშრომლობის პრინციპზედ დამყარებული. კლასთა დიქტატურას უნდა დაუპირდაპიროთ ეროვნული დიქტატურა ე. ი. ეროვნული სახელმწიფო მმართველობა, რომელიც უნდა იყოს პასუხისმგებელი, გამნაწილებელი და დამცველი სახელმწიფოს, ერის და კლასების ინტერესებისა. ეს არის ახალი დემოკრატიული პრინციპი სახელმწიფო მართველობისა. კლასთა ინტერესები ყოველგვარ პირობებში ერის უზენაეს უფლებას უნდა ემორჩილებოდეს; კრიზისის და გაჭივრების დროს შეიძლება ეს უზენაესი უფლება დიქტატურული იყოს. ამის შემდეგ დასკვნა მარტივად გამოითქმის:— თუ აქამდე ცნობილი კლასთა ბრძოლის პრინციპი დემოკრატიულია, მაშინ კლასთა სოლიდარობის პრინციპი ერის სუვერენული უფლება და ეროვნული დიქტატურა მით უფრო დემოკრატიულია.—შევეხები საკითხს, მისაღებია თუ არა ეს ახალი პოლიტ.-დემოკრატიული პრინციპები საქართველოსათვის. საერთოდ სოციალიზმი და განსაკუთრებით ქართული სოციალ—დემოკრატიული "სოციალიზმი" და მასთან ერთად ქართული ნაციონალ-დემოკრაიტული "დემოკრატიზმი" ჭეშმარიტი უტოპია არის დღევანდელ ქართულ ცხოვრების სინამდვილეში, სადაც არც პროლეტარიატი და არც ბურჟუაზია არის. საყურადღებოა ისიც, რომ ქართველი ერის ცხოვრებამ და თანამედროვე პოლიტიკურმა მეცნიერებამ წინ გაუსწრეს ქართულ სოციალ—დემოკრატიულ "იმულებითი დემოკრატიზმს". ამ მხრივ მე ვფიქრობ პრინციპიალურად სრულიად მისაღებია თეთრი გიორგის ახალი "დემოკრატიული მიმართულება", რომელიც, ვიმეორებ, გარემოებამ ჩვენ უკვე მიგვაღებინა, ისე როგორც ახლო წარსულში ბევრს მათდა უნებლიედ საქართველოს დამოუკიდებლობა მიაღებინა. დღეს დიდი და პატარა, ყველა ამ ახალი დემოკრატიული შეგნებით დაგრძნობით არის გამსჭვალული; საჭიროა მხოლოდ ამის გულწრფელად აღიარება და დადასტურება.

ს. ციციშვილი.

## წესიერების თანამედროვე ფორმა და თავისუფლება.

სოციალიზმის და თანამედროვე დემოკრატიზმის მიმდევარნი წესიერების ახალ ფორმას, რომელიც ფაშიზმის სახით იტალიაში ჩამოყალიბდა და პრაქტიკულად განხორციელდა, ნათლავენ მართვა გამგეობის დესპოტიურ და ტირანიულ ფორმათ, აღმკვეთი ყოველგვარ თავისუფლებისა. მათ თავისუფლება წარმოუდგენიათ როგორც აბსოლიუტური ჭეშმარიტება, ურყევი სოციალური დოგმა რელიგიურ დოგმათა თანაგრად, რომლის შეზღუდვის უფლება სახელმწიფოს არა აქვს, პირიქით მთავარი დანიშნულება ყველა პოლიტიკური ავტორიტეტის არის პიროვნების თავისუფლების დაცვა.

ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ რომ მცნება "თავისუფლება" არ არის აბსოლიუტური ჭეშმარიტება, არამედ ის მუდმივ ცვალებადობის კანონს ემორჩილება. ანტიური ადამიანის შეხედულება სრულიად განსხვავდება თანამედროვე საზოგადოების შეხედულებიდან ინდივიდუალურ თავისუფლებაზე. დღეს, როდესაც თავისუფლებაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ, რომ ადამიანს აქვს ზოგიერთი უფლებები, რისი შეკვეცა სახელმწიფოს არ შეუძლია, უფლებები თანდაყოლილი და ხელშეუხებელი. ათინის დროის მოქალაქე კი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო ყოვლის შემძლეა და არ არსებობს არაფერი რისი მოთხოვნა მას არ შეეძლოს, მაგრამ ამავე დროს იგი თავისუფლად გრძნობს თავს, როდესაც ხედავს რომ სახელმწიფო ყველა წევრთ თანაბარ ვალდებულებებს. აკისრებს .აქ თავისუფლება თანასწორობაა.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს აღიარებულ იქმნა ადამიანის პიროვნების უდიდესი ღირებულება, რომელზედაც აშენდა თავისუფლების ინდივიდუალისტური თეორია.

შინაარსი ამ თეორიისა გამოიხატება შემდეგში: ადამიანი შედის საზოგადოებაში ბუნებრივ უფლებებით შემკობილი ამიტომ არაფერი არ უნდა აგრკოლებდეს მის აქტივობას: ფიზიკურს, რომელიც თავისუფალ შრომის არჩევაში გამოიხატება, ინტელექტუალურს ანუ სიტყვის, ბეჭდვის და კრების თავისუფლებას და მორალურს, ე. ი. ეთიურ და რელიგიურ თავისუფლებას. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ამ თავისუფლებას ზღუდავს, ის დესპოტიურია და ხალხს აქვს მისი ჩამოგდების უფლება.

ასეთი იყო თავისუფლების კონცეპცია საფრანგეთის რევოლიუციის დროს. ამ სისტემით შეეცადენ სახელმწიფოს სუვერენიტეტის და პიროვნების თავისუფლების პრინციპის შეთავსებას, მაგრამ ასეთ ცდას ყოველთვის სოფიზმამდე მიყავდა. პიროვნების და მართველობის ურთიერთშორისი დამოკიდებულება დიდი პოლიტიკური პრობლემაა. ხელისუფლება საჭიროებს ძალას თავის დასაცავად, მოქალაქე თავისუფლებას თავის დამოუკიდებლობის შესარჩენად. ამ ნიადაგზე მუდამ დავაა სხვა და სხვა პოლიტიკურ სკოლას შორის, ისინი ერთმანეთს ებრძვიან, ერთი სახელმწიფოს სწირავს პიროვნებას, მეორე პიროვნებას სახელმწიფოს. ჯერ რუსო, შემდეგ ჰეგელი, კანტი, იელინეკი და მთელი რიგი ფილოსოფოსთა ამტკიცებდენ რომ შეიძლება ხელისუფლება იყოს სუვერენული და ამავე დროს პიროვნების თავისუფლება განუსაზღვრელი, მაგრამ ვერც ერთმა გარკვეული პასუხი ვერ მისცა ასეთ შეხედულებაში არსებულ შინაგან წინააღმდეგობათ, რომელიც ამ სისტემის ცხოვრებაში გატარების დროს გამოაშკარავდა. თანამედროვე დემოკრატიაში ხშირია კონფლიქტი სახელმწიფოს და პიროვნებას შორის; ყოველთვის პირველი სთმობს მეორეს სასარგებლოდ, მაგრამ მაშინ ის სუვერენულ ხასიათს კარგავს, ვინაიდან სუვერენიტეტის ძირითადი თვისებაა განუსაზღვრელობა და შეუზღუდველობა უცხო ელემენტის მიერ.— ამნაირად განუხორციელებელი პრაქტიკულად, ინდივიდუალისტური დოქტრინა და მისი კონცეპცია პიროვნების თავისუფლებაზე თეორეტიულ დასაბუთებაშიც სუსტია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ის გვასწავლის, რომ ადამიანი შედის საზოგადოებაში ხელშეუხებელ ბუნებრივ უფლებების მატარებელი; მაგრამ თუ განვიხილავთ რა არის უფლება და შეიძლება თუ არა ის არსებობდეს განყენებულად საზოგადოების გარეშე, ჩვენ დავინახავთ ამ თეორიის სიყალბეს.

უფლება შეიცავს სამ ელემენტს: სუბიექტი, ობიექტი უფლების და პასიური ელემენტი, რომელსაც უფლების მატარებელი უპირდაპირდება. განმარტოებულ ადამიანს (რობინზონს თავის კუნძულზე) არავითარი უფლება არა აქვს. პიროვნება ღებულობს უფლებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ის თავის მსგავსთა დამოკიდებულებაში შედის, ე. ი. როდესაც ის საზოგადოებაში იმყოფება. ამნაირად ადამიანს არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს რომ ის საზოგადოებაში ხელუხლებელ უფლებებით მოდის, პირიქით მას უფლებას მხოლოდ საზოგადოება ანიჭებს და მასზე წარმოდგენა მას მხოლოდ საიოგადოებაშ ეძლევა. თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე მცნება უფლების წმინდა მეტაფიზიკურ ხასიათს აშკარა გახდება თუ რამდენად დაუსაბუთებელია ინდივიდუალისტური თეორია, რომელმაც საგრძნობლად დაკარგა გავლენა და თანამედროვე აზროვნებიდან იდევნება. ჩვენ ვამჩნევთ რომ ხდება თანდათანობითი შეცვლა ცნების თავისუფლება-უფლების—თავისუფლება მოვალეობათ, ან თავისუფლება სოციალური ფუნქციისა.

თავისუფლების ამ ახალ თეორიას წესიერების თანამედროვე სისტემა ფაშიზმი ღებულობს და ინტეგრალურ ნაციონალიზმს სათუძვლად უდებს. ადამიანი საზოგადოებას ეკუთვნის, ამიტომ ის არის სოციალური არსება, საზოგადოება მას მთელ რიგ ვალდებულებათ აძლევს როგორიც არის განვითარება ფიზიკური, ინტელექტუალური აქტივობის, მაგრამ არც პიროვნებას, არც ერთ ჯგუფს არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს როგორც კოლექტივის, აგრეთვე მის შემადგენელ ნაწილთა განვითარებას. რომელთა სოლიდარულ მუშაობისაგან დამოკიდებულია სახელმწიფოს სიძლიერე და კეთილდღეობა, ისე როგორც უჯრედების განვითარებისგან—ცოცხალი ორგანიზმის არსებობა. თუ რომელიმე კლასის მოქმედება ეწინააღმდეგება ერის ინტერესებს და მას ზიანს აყენებს, რაც მეტად ხშირია თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც თვით ერის მტრებიც (კომუნისტები) ფართე თავისუფლებით სარგებლობენ, ფაშიზმი ასეთ კლასს თავისუფლებას ართმევს, გამხრწნელ მუშაობის საშუალებას [illegible] და ყველას ეროვნულ დისციპლინას [illegible] სამშობლოს იდეით, მისი წარსულით, [illegible] შენარჩუნებით და განვითარებით [illegible] ტიურ სულს, კლასიურ სულისკვეთებას პატრიოტიზმით სცვლის, ეროვნულ სულში ახალ ცეცხლს და რწმენას აღვივებს, რწმენას სამშობლოსადმი.

კ. სალია.

---

## ჩვენი გზა.

რუსეთის ბატონობამ საქართველო ისე დასცა ეროვნულად რომ მე 19 საუკუნის ბოლოს ეროვნულ სასიწარკვეთილებით და უიმედობით იყო მოცული. ამ უიმედოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის დამარცხების შემდეგ, გარდა ყმნევის სეპარატისტთა ჯგუფისა არ გამოჩნდა ჩვენში არც ერთი პარტია, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა წამოეყენებინოს და დაეცვას.

ჩვენ ვხედავთ მხოლოდ უიმედობით შეპყრობილ პოლიტიკურ პარტიებს: ერთ მათგანს, სახელდობრ სოციალ დემოკრატიას, ეროვნულ ნიჰილიზმის შემქმნელს და ქართველი ხალხის უტოპიურ მოძღვრებით მომწამლელს; მის გვერდით, უფრო მოგვიანებით ორე როვნულად მოაზროვნე, მაგრამ ისევ უიმედობით მოცულ პოლიტიკურ პარტიებს (სოც ფედ. და ეროვნ.-დემ.). თუ პირველი ხსენებული პარტია იყო ფილიალი რუსეთის სოც.-დემოკრატიისა და აგენტი «მლევამოსილ» რუსეთის დემოკრატიისა ჩვენში, არც ორი უკანასკნელი პარტია გაშორებია რუსეთის ფარგლებს და ამ ველურ ქვეყანასთან ერთად ყოფნით, ქარველ ერისთვის შეკვეცილი თავისუთლების პოვნაზე ოცნებობდა. მიზეზი? ისევ უიმედოგა თავის თავისა... აი ამ უიმედოების მოციქულთა ხელში იყო საქართველო, როდესაც მას ბედმა გაუღიმა და დამოუკიდებლოგა კარზე მოუყენა. ალბად ყოველ ქართველს ახსოვს, რომ ამ ჩვენმა უიმედო სარდლებმა კარზე მომდგარი დამოუკიდებლობა ძლივს მიიღეს (ისიც ხზვისი იმედით) და მას საგოდიმოდ რუსული «აგოვორკეგიც» გაუკეთეს. ეს «აგოვორკები» ჩვენდა სამარცხვინოდ დამოუკიდებლობის აქტის წინასიტყვაოგამიც შეიტანეს. ამნაირად ეროვნულ თავისუფლებისათვის და მის განმტკიცებისთვის სრულიად მოუმზადებელი საქართველო დამისი მეთაურები 1913 წლის 26 მაისს უცებ ფაქტის წინაშე დადგნენ.

საქართველოს ისტორია ხელმეორედ ოქროს ხანის შესაქმნელად უხმოგდა. ჩრდილოეთიდან მოსულ მტრის დამარცხებას მოჰყვა მეორე ჩვენი ისტორიულ მტრის ოსმალეთის დანგრევაც. ამ რიგათ, საქართველოს გაეხსნა ასპარეზი იავისუთალ განვითარებისა და მტკიცე ეროვნულ სახელმწიფოს შექმნისა საჭირო იყო მეთაურები და ეროვნულად დარაზმვა. ეროვნული ჯარის და მტკიცე სახელმწითო აპარატის შექმნა. ამის სა-

---

### პატარა ფელეტონი

### ყველაფერზე და არაფერზე

მზე ისე მათბობს, როგორც ტფილისში.

ეს ქუჩა ისეა გამუქებული დღის სინათლით, როგორც ჩემს მეხსიერებაში წყნეთის ქუჩა: — ექვსი წლის წინად ტრამვაის გასაჩერებელთან ვიდექი და მეხუთე ნომერს ველოდებოდი ...

ეს დუქანი ალის ხილის დუქანს მომაგონებს.

სასწავლებლიდგან ჯგუფ-ჯგუფად გამოვდიოდით. წიგნებს ქამრით ავიკრავდით მუცელზე და ყივილ ხივილით მოვედებოდით ქუჩებს.

ალის დუქანთან შევჩერდებოდით.

— ეს რა ღირს ?— დავადეგდით ქლიავს თითებს.

ალი სულ თითებში გვიყურებდა.

— ხუთი ჯაბიჰი ჯირვანჩა.

— ეს ?

— აა, აა, შენი მყიდველი არ არის !

— ეს? ეს? და შეუმჩნევლად ავაცოცებდით ხილს. ნაქურდალს ვიყოფდით.

როდესაც ტფილისში დავბრუნდები, ვინახულებ ალის და ვეტყვი:

—ჩემო ალი, მე ვიყავი დიდი ქურდი, დააჭერინე ჩემი თავი.

—კინაზ?! ჩაიცინებს ალი ინით შეღებილ, უკვე გახუნებულ ულვაშებში. — კინაზ?!

— არ გჯერა? მაშ კარგი. ამიწონე, ცეთაყვა, ერთი გირვანქა ლეღვი, ერთი გირვანქა განჯის ყურძენი და ერთი ტკბილი, წითელი საზამთროც ამომირჩიე.

ალი მწიფე, სავსე საზამთროს ყურთან მიიტანს, ხელებს მოუჭერს. - ტკაც!

— კინაზ, შექარია, დუთმა !

გამოთხოვებისას ხელს ჩამოვართმევ, ოთახს გადავხედავ: არაფერი შეცვლილა... თათარხანის სურათი, იარაღში ჩამჯდარი, ისევ იმ ალაგზე ჰკიდია, გატეხილ სარკის ზემოდ.

ალი კარებში შემაჩერებს:

— კინაზ, შენი ზალიან კარგი კაცი! ერთი ქილავი მოიპარე ააა!..

. ˙ .

პატარა რო ვიყავი დედა მარიგებდა: ბიჭო, ქუჩას რო გადადიხარ, აქეთ იქით იცქირე. მე კი არ ვასრულებ ამ დარიგებას: ალის დუქნიდან გამოველ, ყაზბეგის ქუჩას გადავდიოდი და პარიზის ქუჩაში აუტომ ჩამომიქროლა; კინაღამ გამიტანა. შოფერი ყვირის, ილანძღება, მემუქრება შორიდგან. ქუდი მოვიხადე. ბოდიშს ვითხოვ, რომ სიჩქარეს გადავღობე. დღეს კარგი დარია და მინდა ყველას დაუთმო.

— მადლობა ღმერთს ! - ვამბობ, რომ შოფერი ქართველი არ იყო, თორემ დავიღუპებოდი. ვერ გადავასწრებდი. მე თქვენ გეტყვით და შეჩერებას მოახერხებდა: საათში ორას კილომეტრის სისწრაფით დაჰქრიან პარიზის ბულვარებზე; მერე, რა რიგ აფრთხობს ფრანგის მყუდროებას ქართველური, უდარდელი გაქანება!.. ხან ხალხით გატენილ კაფეებში შეიჭრებიან, ხან ელექტრონის ბოძს უმიზნებენ ,,სიტროენს'', ხან დაუფენელ ქუჩებს ესტუმრებიან და ორმოებში ამოჰყოფენ თავს... მაგრამ ერთი უნდა ითქვას, - ბედი სწყალობს ჩვენ შოფერს: მანქანას თუმცა ნაფლეთებათ აქცევს, მაგრამ მგზავრი მხოლოდ დასახიჩრებული რჩება და კმაყოფილიც, რათა დამხლვევ საზოგადოებისაგან საგრძნობ თანხას ღებულობს. წარმოგიდგენიათ თქვენ ნეტარება მხოლოდ დასახიჩრებულ ადამიანისა, მეტადრე თუ ქართველი ემიგრანტია?

და მეც ვფიქრობ: რომ წავქცეულიყავი, მარცხენა ფეხზე ნეკი მეღრძო მივიღებდი თუ არა თორმეტ ათასს?..

. ˙ .

ეს უბანი ვერას მომაგონებს და ისე ვხედავ ყველაფერს, როგორც ტფილისში...

— ტინ, ტინ, ტინ... — ჩაიარა ტრამვაი.

არ გამიკვირდება, უცებ მომესმას:

— მაწუნ! მაწუნ!.. ანტულუნწკიი!.. დულიი!..

ან იმ ვიწრო შესახვევიდგან, რომ გამოცვივდნენ ნახშირით დატვირთული ვირები და წყნეთელი ბიჭები თოქშ, თოქშ-ის ძახილით. ჰაერი მწიფე ნესვის სუნით არის გაჟღენთილი. ხალხი ირევა. გზა და გზა სულ ქართული ტიპები მხვდება.

ეს კაცი, დასავლეთ საქართველოდან რო იყვეს, ,,ალცანდრე''-ს, ,,მგვიბა''-ს ან ,,ნაპალიონი''-ს სახელს ატარებდა. აღმოსავლეთ საქართველოში ,,მიტუშა''-ს ან ,,კოტიკ''-ს დაარქმევდნენ.

სურვილი მაქვს მივმართო ქართულად. ვერ გაიგებს და ბოდიშს მოვიხდი: მაპატიეთ, უცხოელი ვარ, ვეძებ ერთ პატარა ქუჩას.

— გამარჯვება !

უცნობმა რუსული გაზეთი ,,დნი'' სწრაფად დამალა და ,,კოტიდიენი'' გაშალა.

— გაგიმარჯოს ღმერთმა !

— ოჰ, ქართველი ხართ! სიდაური?

— გურული, დუაბზუს საზოგადოებიდან. თქვენ?

— ჩოხატოურელი.

— ნენა, მეზობლები ვყოფილვართ!

— სად მუშაობთ?

— რენოზე. თქვენ?

— სენ-ლაზარზე. რენოზე არ იღებენ?

— სამწუხაროდ ჩვენთან კომპლეა.

— ნახვამდის! ნახვამდის!

დავშორდით ერთმანეთს... უცებ გაისმა ყვირილი მთელ ქუჩაზე: — კრებაზე ხომ იქნები კაცო?!

თავი დაუქნიე; ტანს და ხელებს ,,რას დავაკლდები''-ს გამომეტყველება მივეცი. ისევ მომიახლოვდა; ამხედ დამხედა; უნდა რაღაცა მკითხოს. გადაჭარბებული თავაზიანობით და თანაც ოფიციალურად:

— უკაცრავად, რა პარტიის ხარ შენ?

თითქოს ქურდობაში დამიჭირეს,- გავწითლდი. (როცა თავს უხერხულად ვგრძნობ, მუდამ ვწითლდები.) ვფიქრობ: უთხრა სიმართლე, ხომ მოვიმდურიე მეზობელი, ან არა და...

მაგრამ მალე ვნახე გამოსავალი: გავსწორდი და ცოტა ნაწყენი ხმით უპასუხე:

— გურული ვარ კაცო!

სახე გაუნათლდა, მხრებზე ხელები დამკრა. მიმიხვდა!

ამ ერთმა სიტყვამ, ,,გურული'', სავსებით გამოაშკარავა ჩემი პოლიტიკური მსოფლხედველობა.

ხელი მაგრად ჩამომართვა. თვალი ჩამიკრა:

— არ დააგვიანო კაცო!

პატარა მანძილი გაიარე და გამეცინა. ფრანგი მიყურებს, შეჩერდა, იღიმება... მომაგონდა: ვიღაცა მივიდა კარლოსთან და გახუმრა: ემიგრაციაშიც გურულები გჭარბობთ-ო!

— ბატონო, ბატონო! მიუგო დინჯად, — არც საკვირველია! გაქცევ-გამოქცევაში ბადალი არ გყავთ.

სათვალეები გაისწორა და ჩაფიქრდა...

. ˙ .

ვამბობ: ეხლა ვლგევარ კუნიბის ქუჩაზე, მარჯვნივ შევუხვევ და პანთეონთან ამოვყოფ თავს.

Rue Clotilde, ვიწრო, [illegible]ფთა ქუჩა, პანთეონის გამსწვრივ. სწორედ ქუჩის და[illegible]ყისში, ჰენრი მეIV-ს ლიცეის პირდაპირ, ხუთ სართუ[illegible]ნი ქვის სახლი დგას და თეთრ კედელზე შავი ასოებით აღბეჭდილია: ,,თავისუფალი საქართველო!'' ვერც დროთა ხელამ, ვერც გერმანელების ყუმბარებმა, ვერც ანჩხლმა კონსიერჟ-მა და ვერც სიძულვილმა უცხოელებისადმი ვერ მოახერხა ქართულ ასოების წაშლა.

ამბობენ, - ავტორი ამ წარწერისა ქართველი პოეტი არის-ო. მე ეჭვიც არ მეპარება. სწორედ ქართველ პოეტს შეეძლო პარიზის ლამაზ ქუჩაში საქართველო მოჰგონებოდა და იმისთვის თავისუფლება მიენიჭებია. მე დარწმუნებული ვარ, ამის ავტორი გვერდით რო მედგას, - ,, თავისუფალ საქართველო-ს" მიუმატებდა: ,,ძირს საბჭოთა ხელისუფლება!' დიახ, ამას ის მოიმოქმედებდა! თუმცა, მაპატიეთ, პატარა შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ბულვარებზე შეკერილ კოსტუმში, ლაკის პრიალა წაღებში და აბრეშუმის ყელსახვევით იქნებოდა მორთული და, რაც უმთავრესია, უმთავრესი ჩვენ პოეტებისათვის, კარგათაც გამაძღარი და ბორდოს ნუნუათიც შეზარხოშებული. ასეთ მდგომარეოგაში, დამერწმუნეთ, საფრანგეთის პანთეონის კედლებზედაც წააწერდა: ,,საქართველოს პანთეონი!''. მაგრამ დამეთანხმეთ იმაშიდაც, რომ ამის ავტორი, ჩავარდნილი ქართველ ემიგრანტის ყოფაში, სიტყვას ,,თავისუფალი'' გადაასწორებდა ,,საბჭოთა''-დ და გამოვიდოდა: ,,საბჭოთა საქართველო!''. შემდეგ ინახულებდა პირუმიანცს; პოეტური, გულწრფელი ტონით მოინანიებდა ცოდვებს სომხის ტერტერას წინაშე და დასწერდა დეკლარაციას ,,ახალ საქართველოში'', რომელიც კარგა ხანია რაც გარდაიცვალა ,მაგრამ ჩემის აზრით, ჩვენი პოეტი ,,ახალი საქართველოს'' დასაფლავებამდე გაუკეთებდა თავის პიროვნებას ლიკვიდაციას. (აღსანიშნავია, რომ ჩვენი პოეტების უმეტეს ნაწილს ერთნაირად ეხერხებათ დეკლარაციების და ლექსების წერა.) შემდეგ ვინმეს გაალაზვინებდა თავს და მრავალტანჯული, დამსახურებული პროლეტარული პოეტი დაუბრუნდებოდა ტფილისს, ,,პოეტების სამეფოს''. დაუბრუნდებოდა!.. ისე ვამბობ, ვითომ ეს პიროვნება დახვრეტილი იყვეს და არა ქიმერიონში ტოლუმბაშის ალაგას არხეინად მოკალათებული...

როდესაც რუსის ჩექმები, ინტერნაციონალის კიჟინით, რუსთაველის პროსპექტს სტკეპნიდნენ, ბუდიონის ცხენები ,,სტენკა რაზინის'' ბღავილით ახლად გადაჯეკნილ ველებზე დანავარდობდნენ და მათ მიერ დახოცილი გვამები კარგა გაციებულიც არ იყო, ,,თავისუფალი საქართველო''-ს ავტორმა ხოტბა შეასხა რუსულ სულს, ლენინის გენიას.

,,დაისის'' ავტორს, გურიელის, მაჩაბელის და აშორდიას მოტრფიალეს, ისე მოეწონა ოკტომბერი, რომ ჩინეთის ხალხს უწინასწარმეტყველებს:

. . . . . . . . . . .

და მიაღწევს თავის ოქტომბერს.

აღმოსავლეთით მზე ლაშქარი ამობრწყინდება!

ვირების მოყვარულ პოეტსაც სურვილი აქვს იყვიროს:

ეი პოეტებო!

თუ ხართ რაინდები

და ჩემსავით გიყვართ

ს. ს. ს. რ.

. . . .

და ეულის და ვაჟელის მეთაურობით ხომ ბევრი ნაკელი სწერს ასეთ ლექსებს.

ნეტა ვიცოდე, რამდენ ჩერვონეცად ასაღებენ ტაეპს უპრინციპობისას წითელ ფურცლებზე გარითმულს.

(გაგრძელება შემდეგში).

წერო

მაისი

შუალებანი მათ ქონდათ. ვის უნდა ექნა ყველაფერი ეს? — ჩვენ მაშინდელ მეთაურებს. ესენი საუბედუროთ ისევ ის ძველი ურწმუნო და უიმედო ხელმძღვანელნი იყვენ ახალ საქართველოსთვის მოუმზადებელნი. ახალნიკი, არ აღმოჩდენ. მის მაგივრად რომ ჩვენი მეთაურები საკუთარ ხალხს დაყრდნობოდენ, იქ ეძიათ ჩვენი ძალა არსებოვისათვის, ხსნას მხოლოთ გარედან მოელოდენ. არსებოვის იმედი გარეშე დაამყარეს.

დელეგაცია დელეგაციას მისდევდა ევროპისაკენ. მთელი ჩვენი ორატორთა მძიმე არტილერია ევროპისაკენ გამოისტუმრეს. სანამ ეს დელეგაციები ინტერნაციონალის კონგრესებიდან გარეშე საქმეთა სამინისტროებში ერთა ლიგის კონგრესებზე დადიოდენ, ბრძოლისათვის მოუმზადებელ საქართველოს საზღვრებზე მძიმე ღრუბლები ჩამოწვა და ისევ ჩანთქა ჩრდილოეთიდან მოსულმა მხეცმა.

ერთხელ თავისუფალ ცხოვრების ნაგემგემა ხალხმა საშინელი სიმწვავით იგრძნო ეს დამარცხება· მიძინებულმა ენერგიამ უცებ იფეთქა და მთელი საქართველო მღელვარე ზღვად გადაიკცა, მაგრამ ამ აღელვებულ ზღვას ხომ სარდალი უნდა, მეთაურები ხომ საჭირო არიან ბრძოლისთვის? საუბედუროდ საქართველო ვერ ქმნის ახალ მეთაურებს და ისევ ძველი, ურწმუნონი ერთხელ კიდევ მიუძღვებიან თავისით აბოგოქრებულ ერს და თავიანთი მოუმზადებლობით თუ უცოდინარობით სასტიკად ამარცხებენ მას 1924 წ აგვისტოს

აქ კი უკვე ყოველმა ქართველმა იგრძნო, რომ ასეთი გზით სიარული შეუძლებელია, რომ ჩვენი მეთაურები ურწმუნოების და უიმედობის ნიადაგზე წარმოშობილნი ახალ მებრძოლ საქართველოს მეთაურებათ ვერ გამოდგებიან. ყოველი ქართველი ახალი გზის ძებნას შეუდგა. ზოგნი უსუსურნი და უიმედონი ამ გზის ძებნაში მტრის ბანაკში გადაბარგდენ მათ საუკუნოთ დაესვათ დაღი მოღალატეებისა და მომავალი საქართველოც მათ შესაფერის მსჯავრს გამოუტანს. მათ კი ვის გულშიც ეროვნული თავისუფლების სიყვარულმა მტკიცედ დაიმკვიდრა, ვინც სამშობლოს იდეა წმიდათა წმიდათ დაისახა და ეროვნული თავისუფლება ახალ რელიგიათ მიიჩნია, მათ იპოვნეს ახალი გზა, ღრმა რწმენისა საქართველოის მომავლისადმი ,ეს არის გზა საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობის თეთრი გიორგის, რომლის დროშაზე აწერია »საქართველო უწინარეს ყოვლისა». ახალგაზრდობამ უკუაგდო ურწმუნოება და უიმედობა ჩვენი წამავალი თაოგის და შესცვალა ის ღრმა რწმენით და იმედით ქართველი ხალხის მომავლისადმი.

მ.

---

* * *

,,დამოუკიდებელი საქართველო-ს‘‘ მე 9-რე ნომერში მოთავსებულია წერილი ჩვენ წინააღმდეგ. როდის აქეთ ავტორს, რომელსაც მენშევიკური სუნი უდის, დევიზი ,,საქართველო უწინარეს ყოვლისა‘‘ მოსწონს? ცხვრის ტყავში ნუ ეხვევით! თქვენთვის ერთად ერთი დევიზი ,,სოციალიზმი უწინარეს ყოვლისა‘‘ არის. მაგრამ ეს არაფერი; სასაცილო ის არის, რომ გაზეთი «დამოუკიდებელი საქართველო» რომლის ნივთიერი და გონებრივი წყარო სოციალ დემოკრატები არიან, გვიკიჟინებს დიქტატურას, მაშინ როდესაც, ეს უკანასნელი, ჩვენთვის მხოლოდ გარდამავალი და ტაქტიკური საკითხია და სოც. დემ.-თვის კი უმთავრესი საფუძველი მსოფლხედველობისა და იდეოლოგიისა. გვისაყვედურებთ, - დესპოტიზმისაკენ მისწრაფებას... თუ თავი არ დაანებეთ ასეთ არა ლოიალურ ცილისწამებას, ჩვენ დაგიმტკიცებთ, რომ ისეთი მკაცრი დესპოტიზმი, რომელიც მენშევიკების ოლიგარხიამ შეჰქმნა საქართველოში, მხოლოდ მათ ყოფილ ამხანაგების, ბოლშევიკების მიერ იქმნა გადაჭარბებული. ჯერჯეროგით კი ერთ მაგალითს გკმარეგთ: რად დააპატიმრეთ ტფილისში დღევანდელი თქვენი მე- «ერთ ფრონტე» ბ.-ი რ. გაბაშვილი? თქვენ და ის ამ საკითხშიც წინასარ მორიგდით და ისე გვიპასუხეთ. რაც შეეხება რჩევას, ახალგაზრდებმა პოლიტიკას თავი უნდა დავანებოთ, შემდეგს გიპასუხებთ: თქვენ ყველამ პოლიტიკანობა დაიწყეთ, როცა ჯერ კიდევ ტიკინებს ათამაშებდით. ათასში ერთი მაგალითიც არ მოიძებნება, რომ ოც წელს გადაცილებული, ე. ი. გონებაში ჩავარდნილი ახალგაზრდა გასოციალდემოკრატებულიყოს. თქვენც ყველა ბავშვობისას გასოციალისტდით.

—საქართველოს სახელმწიფო ღერბი დაგიჩემებიათ-ო! თქვე დალოცვილებო, თქვენ მტრის სახელმწიფოს, რუსეთის «წითელი დროშა» გაქვთ დაჩემებული და ჩვენ რომ ჩვენ სამშობლოს დროშას ამოვეფაროდ საკვირველი და დასაძრახისია? თეთრი გიორგის დროშის ქვეშ სამშობლოს სისხლში გასვრილ სტალინ და ორჯონიკიძეს მაინც არ ვიხილავთ და ჩვენ სახელოვან წინაპართა აჩრდილებთან ერთად ვიბრძვით· გარდა ამისა უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ თეთრ გიორგის არაფერი საერთო აქვს იმ თქვენ მიერ გაუბედურებულ მხედართან, რომელსაც ყოველივე ღირსება აჰხადეთ: წარტაცეთ გვირგვინი, აჰყარეთ იარაღი, და ასე გაცარცული და გაპროლეტარებული ბეჩერ თოხარიკზე შეასკუპეთ; გამარჯვებულ მებრძოლ რაინდის სახეც წაართვით და ბრძოლის ველიდან გაქცეულ გვარდიელს დაამსგავსეთ, იგი ყრმა წითლათაც რომ შეგეღებათ და ლახვარის მაგიერ ხელში ჩაქუჩი მიგეცათ, ან საქართველოში საყვედურს ვინ გაგიბედავდათ ან აქ ვის გაუკვირდებოდა?

ჩვენი თეთრი გიორგი არის საქართველოს ეროვნულ-ისტორიული წმინდანი გმირი და მისი სახელმწიფო ღერბი. აი რატომ მას სრული უფლებით ფრანგულათ წმიდა გიორგათ ვთარგმნით- მართალია, საქართველო ქრისტიანობით არ ამოიწურება. ჩვენში მუსულმანებიც ბევრია, მაგრამ თქვენ რომ ოდნავ მაინც იცნობდეთ საქართველოს და ქართველი ხალხის ტრადიციებს, გეცოდინებოდათ, რომ ჩვენი ქართველი მუსულმანები წმიდა გიორგიზე ლოცულობენ და სწამთ კიდეც ის; ყოველ შემთხვევაში თქვენზე მეტად, რომელთაც არც წმიდა გიორგი და არც საერთოდ ქრისტიანობა გწამთ.

ფაშისტობას გვიკიჟინებთ! ნუ თუ არ მოგბეზრდათ ეს მიტინგური დემაგოგია? ჩვენთვის ფაშიზმი, რომელიც მთლიანად აღებული. წმიდა იტალიური მოვლენაა წარმოადგენს იტალიელ დიდ და გენიოს ერის სულის დაუნერგის შემოქმედების და აღორძინების ნიჭის გამომჟღავნებას თითქმის ისევე უცხოა როგორც ბოლშევიზმი: დაბალ და ბარბაროსულ რუსის ერის გორტმოქმედების, და მხეცურ ინსტინქტების პერიოდიული გამომჟღავნება.

ჩვენ ფაშიზმიდან ვიღებთ მხოლოდ იმ პრინციპებს რომელიც მთელი ევროპის საუკეთესო ნაწილმა მიიღო და რომელიც ედება საფუძვლად გარდაქმნილ ცხოვრებას და საზოგადოების ეკონომიურ და სულიერ აღორძინებას. უმთავრესი დებულება ამ პრინციპისა არის კლასთა სოლიდარობა ეკონომიურ და პოლიტიკურ თანასწორობის ნიადაგზე. ჩვენ ამ პრინციპებს ვიზიარებთ კიდევ და უმეტესად იმიტომ‘ რომ ის საქართველოს სინამდვილეს ზედმიწევნით შეეფერება. თქვენ კი შემოგაქვთ ჩვენში კლასთა ბრძოლა, ქიშპობა, კინკლაობა, ერის ძალების დაყოფა და მისი დავრდომა. ამნაირად ჩვენ არაფერი უცხო და უნიადაგო ჩვენ ქვეყანაში არ შეგვაქვს. თქვენი საზომით ნუ გვიდგებით. თქვენ არ ბრძანდებით გერმანელ სემიტების მიერ ინგლისში ხელოვნურად შეთითხნილი სირიის უდაბნოს ნომადების მიერ შექმნილ ბიბლიის შურიანობის და პოგრომების სულით გაჟღენთილი, გრედწოდებული «მეცნიერული სოციალიზმი» შემოიტანეთ ჩვენში და დღესაც ქადაგებთ მას? ამის შემდეგ თქვენ გვდავთ და გვიკიჟინებთ უცხოეთის· პრინციპები საქართველოში შეგაქვთო? თქვენ, რომლებმაც არა მხოლოდ თეორიები და დოგმები შემოიტანეთ უცხოეთიდან ისიც ჩვენი მტრის ქვეყნიდან მოზრძანდით, ვინაიდან თქვენი პარტია რუსული იყო სანამ რუსეთიდან არ გამოგრეკეს.

ბრძანებთ. მოსკოვისდიქტატურა გვაზრჩობსო. ამას განმეორება არ სჭირდება. ყველამ უწყის რომ თქვენ მხოლოდ ბოლშევიკების დიქტატურა გაზრჩობთ, თორემ კერენსკის დიქტატურას კარგად შეეგუეთ ხელიც შეუწყვეთ და ყურ მოჭრილ ყმებივით თვითონაც ემსახურეთ. ჩვენთვის მიუღებელია არა მხოლოდ ბოლშევიკური დიქტატურა, არამედ საერთოდ რუსეთი განურჩევლად მისი რეჟიმისა.

ჩვენ თქვენი წერილი არ გვაკვირვებს... ჩვენ გვინდა მხოლოდ ვიცოდეთ, ნაციონალისტების ის ჯგუფი, რომელიც თქვენთან თანამშრომლობს, ნებით თუ ძალდატანებით გიკრავთ კვერს პატრიოტულ ახალგაზრდობის წინააღმდეგ გალაშქრებაში? ჩვენ ურჩევდით »დამოუკიდებელ საქართველოს» პოლემიკას თავი დაანებოს. ასეთი ხასიათის ორგანო პოლემიკას უნდა ერიდოს საერთოდ და მეტადრე პატრიოტულად განწყობილ წრეების წინააღმდეგ. განა სოციალ დემოკრ. ნებას მისცემენ ნაციონალისტებს «დამ. საქართ».ფურცლებზე რუსეთის სოციალისტურ პარტიებს კრიტიკა გაუწიონ? არავითარ შემთხვევაში· მაშ როგორ აძლევენ ნაციონალისტები ნებას სოციალ დემოკრატებს ჩვენ წინააღმდეგ პოლემიკისა, თუ მათი «საერთო ფრონტი»და თვით გაზეთი »დამ. საქ,» მეფრონტეთა თანასწორობაზეა აგებული? მაგრამ ალბათ ეს ასე არ არის.

---

«თეთრი გიორგის»

ქართველ სტუდენტთა კორპორაცია «გეორგია» ბერლინში გულმხურვალედ და ძმურად ესალმება თქვენ ძვირფას ორგანოს «თეთრი გიორგის» და მის მიერ დასახულ იდეას.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თეთრი გიორგის მიერ ხმა მაღლა წარმოთქმული წმიდა და ყოველ ქართველისათვის უსიტყვოთ მისაღები ლოზუნვი «საქართველო უწინარეს ყოვლისა»აანთებს ქართველ ახალგაზრდობაში ცეცხლს სამშობლოსადმი სიყვარულისა.

ნუ დაგვაღონებს სიმძიმე ჩვენ მიერ აღებულ ჯვარისა და ნურც სიძნელე გზისა, რომელზედაც ჩვენ ის უნდა ვზიდოთ! მარადის გვწამდეს რომ მტკიცე სურვილს და შეურყეველ რწმენას ჩვენ ძალაში უსათუოდ მოჰყვება ჩვენი გამარჯვება

თქვენთან თანამშრომლობას ვრაცხთ სიამოვნებით ნაკისრ მოვალეობათ;

პატივისცემით და ქართული სალამით :კორპორაცია «გეორგია.» ბერლინი.

---

სალამი პრაგიდან «თეთრი გიორგის.»

ჩეხოსლოვაკიის ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი აღტაცებით ესალმება გაზეთ «თეთრი გიორგის» გამოსვლას და სავსებით იზიარებს მის იდეოლოგიას.

«თეთრი გიორგი» არის ის ამონაკვნესი, რაც თვითეულ ჩვენგანს ჯერ კიდევ საქართველოში, მენშევიკურ თიხის ხანას მოყოლებული დღევანდლამდე, სულიერად გადაგვიტანია. მადლობა ღმერთს, ვეღირსეთ ჩვენი გულის ნადების სწორ, მტკიცე რეალურ იდეოლოგიათ ჩამოსხმას ქართულ ნიადაგზე. სიმონ წინასწარმეტყველი არა ვართ, რომ ვსთქვათ «აწ განუტევე სული ჩემი მეუფეო»... პირიქით, ვამბობთ: აწ ფრთა შეისხი სულო ჩემო, და გაკაჟდი გულო ჩემო, რომ თამამად, მედგრად,, სრულის რწმენით გამარჯვებისა ვეკვეთოთ გარეშე მტერს და აგრეთვე შინაურსაც, რომელიც გამოიხატება პარტიოებაში, ერის რამოდენიმე მოწინააღმდეგე ბანაკებათ დაყოფაში, რაც არის მთავარი და ძირითადი მიზეზი ჩვენი ერის სისუსტისა.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა უპარტიო და პარტიულ ქართველთ, ვისაც კიდევ შერჩენია უნარი თავისი პარტიული ბორკილების დამსხვრევის და პარტიული ტყვეობიდან განთავისუფლების, მოგვბამონ ჩვენ და დაირაზმონ საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობის თეთთრი გიორგის ორგანიზაციაში.- ძირს ბურჟუაზიის ან მუშათა კლასის ჰეგემონია! ძირს პარტიობა! გაუმარჯოს ქართველ ერს! გაუმარჯოს საქართველოს! — ქ.პრაგის ამხანაგ[illegible] ინდობილებით: 1. გ. კიკიანი პ.ტყელიშვილი ვ. ჩოჩია.

სტუდენტთა კავშირში

გასული წლის 12 დეკემბერს შესდგა პარიზში მყოფ ქართველ სტუდენტთა საზოგადო კრება. დაესწრო 70 კაცამდე. განხილულ იქნა საკითხები: 1. გამგეოგის მოხსენება გასული წლის მუშაობის შესახებ და 2.ახალი გამგეოგის არჩევნები. პირველი საკითხის შესახებ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც დამაკმაყოფილებლად სცნო გამგეოგის წარსული მუშაობა; შემდეგ არჩეულ იქნა ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლოგით: ს.გერეჟიანი, მ. მუსხელიშვილი, ნ. დგებუაძე, დ. კლდიაშვილი და შ. ნიკოლაძე, კონტროლიორად გ. ზურაბიშვილი.— არჩევნების წინ სოც.დემ. ჯგუფმა რიცხვით 11 კაცმა დასტოვა დარბაზი, რადგან მათი წინადადება გამგეობის პარტიული წარმომადგენლოგის მიხედვით არჩევის შესახებ უარყოფილ იქნა კრების დიდიუმრავლესობის მიერ.

---

სიამოვნებით აღვნიშნავდით " Promethée " — ს გამოსვლას, საჭირო იყო ფრანგულ ენაზე კავკასიის ორგანოს არსებობა, რომ იგი თავის დანიშნულებას არ ეწინააღმდეგებოდეს. ეს ორგანო ილაშქრებს ფაშისტების, როიალისტების ე. ი. ევროპის ცხრა მეათედ სახელმწიფოების წინაამღდეგ. ნუთუ ეს კავკასიის პროპაგანდის საშვალებაა? მაგრამ ალბათ "პრომეთეემ" "დამოუკიდებელ საქართველოს" მაგალითი აიღო.

---

თ ე თ რ ი  გ ი ო რ გ ი ს  ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

ს.პ.ა. »თეთრი გიორგი-ს» საზღვარგარეთის სამდივნო აარსებს გიბლიოთეკას, რომლითაც საშუალება ექნება ისარგებლოს ყველა ქართველს.— წიგნების შეგროვება დავალებული აქვს ბიბლიოთეკის კამგეს ბ. ლიპარტიას.—

ვთხოვთ ქართველ მოქალაქეებს შემოსწირონ წიგნები ( რა ენაზედაც არ უნდა იყოს ) შემდეგი მისამართით: გ. ლიპარტიას 1,

Monsieur LIPARTIA
1, Rue Raspail, LEVALLOIS-PERRET

---

შევარდენი.

პარიზის შევარდენმა უკვე დაიწყო სისტემატიური ვარჯიშობა, წევრად ჩარიცხვა შეიძლება ბ. ლ. ფხალაძესთან დ.9 ს. 11 საათამდე შემდეგი მისამართით:

75, Rue Daguerre, Paris (14·)

---

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ცნობილი პარიზელი ვექილი გ. ჟელი კისრულობს აწარმოოს ყოველგვარი იურიდიული საქმეები ქართველებისათვის ხელსაყრელ პირობებში.

**Maître GELLY**
**9, Rue de Chabrol, PARIS (Xᵉ)**

---

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს  ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ.

ჩვენი გაზეთის მეორე ნომრის გამოშვება დაგვიანდა სხვა და სხვა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო.— ამ ჟამად ეს დაბრკოლებანი უკვე დაძლეულია (შეძენილია საკუთარი სტამბა )და რედაქციის მიერ მიღებულია ყოველივე ზომები გაზ.«თეთრი გიორგის» ყოველთვიურად, წესიერად გამოსაცემად.

რედაქცია.

გამომცემელი: ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  პ ა ტ რ ი ო ტ
ა ხ ა ლ. თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ-
მ თ ა ვ რ ი  ს ა მ დ ი ვ ნ ო

ÉDITION :

Secrétariat Général de la Jeunesse Patriote
Ceorgienne à l'Étranger

Rédaction : Thethri GUIORGUI
19, Rue Roger, 19 - PARIS (14·)

Imprimerie Marcel Cornu, 176, Rue du Chateau, Paris

Le Gérant : Félix Kal[illegible]npach